„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის

პრეზიდენტი ლევან ნოზაძე

------------------------------------------------------------

30.09.2024

## კახეთის გუნდური ჩემპიონატი 2010 -2011 წლებში დაბადებულთა შორის

## საპრიზო ფონდი 20 000 ლარი

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### შეჯიბრების მიზანი და ამოცანები:

- ძიუდოს განვითარება და პოპულარიზაცია.
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება

### შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი:

ჩემპიონატი ჩატარდება 2024 წლის 16 ოქტომბერს საგარეჯოში. შეჯიბრების დასაწყისი 11:00
ჩამოსვლის დღე - 15 ოქტომბერი.
წასვლის დღე - 17 ოქტომბერი.

### შეჯიბრების მონაწილეები

შეჯიბრებაზე დაიშვებიან 2010-2011 წლებში დაბადებული ძიუდოისტები კახეთის რეგიონიდან. მუნიციპალიტეტს უფლება აქვს შეჯიბრებაზე გამოიყვანოს 3 (სამი) გუნდი. გუნდები ვალდებულნი არიან რეგისტრაცია გაიარონ 12-13 ოქტომბერს ძიუდოს ფედერაციაში. განაცხადების წარდგენა შესაძლებელია უშუალოდ აწონვაზე.
გუნდებს შეუძლიათ განაცხადში ჰყავდეთ მაქსიმუმ 10 (ათი) მონაწილე.

### აწონვა

15 ოქტომბერი 17:00-18:00
16 ოქტომბერი 9:00-10:00
წონითი კატეგორიები: -42კგ, -50კგ, -60კგ, -73კგ, +73კგ.

### შეჯიბრების ხარჯები

შეჯიბრების ხარჯებს (საორგანიზაციო საკითხები, დარბაზის მომსახურება, მსაჯების ხელფასი, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს ორგანიზატორი.
სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (ღამისთევა, კვება, მგზავრობა) უზრუნველყოფენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.